პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 20 ივნისი № 141 (17486) ფასი 2 კაპ.

შრომაში იწრთობა სტუდენტობა

სტუდენტთა, მოსწავლეთა შრომითს ზაფხულს ჯეროვანი ადგილი ეთმობა ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოვრებაში. ბოლო წლების მანძილზე ყოველ ზაფხულს ჩვენი სამშობლოს მილიონობით სტუდენტი ახალგაზრდა, ჩვენი რესპუბლიკის ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, რაზმებად შეკავშირებულნი, უმაღლესი სკოლების სასწავლო დაწესებულებებიდან და ლაბორატორიებიდან პირდაპირ ფრონტზე მიეშურებიან, აქ გრძელდება შრომითი სწავლა, ცხოვრების სწავლა! ეს პატრიოტული მოძრაობა, წლითიწლობით რომ ფართოვდება, სულ უფრო დიდ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას იძენს. ახალგაზრდობას კიდევ უფრო მეტად შთაგონებდა მამაცურ შრომას იმის სასიამოვნო შეგნება, რომ 1978 წელი ლენინური კომკავშირის საიუბილეო, რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღების წელი იყო. შარშანდელი სტუდენტური შრომითი ზაფხული მიმდინარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებით გამოწვეული შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. სტუდენტთა, ისევე როგორც მოსწავლეთა შრომითს რაზმებს ფრთას ასხამდა ლენინიდ ილიას ძე ბრეჟნევის მამობრივი გულთბილობით აღსავსე მისალმება სტუდენტთა რაზმების სრულიად საკავშირო შეჯიბრების მონაწილეებისადმი: „სტუდენტები და მოსწავლეები, — აღნიშნავდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — რომლებიც მუშაობენ რაზმებად, მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთიან მწყობრში, იძენენ კოლექტიური შრომისა და შემოქმედების გამოცდილებას, პრაქტიკულად განიმტკიცებენ მიღებულ ცოდნას, გამოიმუშავებენ აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას“.

მარტო მშენებლობის 160 ობიექტზე სტუდენტურ რაზმებში 4485 ახალგაზრდა იყო გაერთიანებული, ხოლო არასამშენებლო ობიექტებზე მოქმედ სტუდენტურ რაზმებში 12699 სტუდენტი შრომობდა. შესრულებულ სამშაოთა საერთო მოცულობამ 20.618.000 მანეთი შეადგინა; სტუდენტობამ მარტო მოსავლის აღებაზე 6.045.000 მანეთის სამუშაოები შეასრულა.

შარშანდელი კარგი გამოცდილების საფუძველზე, არსებულ ანმოსალოდნელ ნაკლოვანებათა გათვალისწინებით, საქართველოს კომკავშირის კომიტეტები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და აქტიური მხარდაჭერით, რექტორატებთან, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებთან ერთად მოემზადნენ სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის წლევანდელი შრომითი ზაფხულისათვის ისე, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 29 ნოემბრის დადგენილება: „სტუდენტთა სამშენებლო რაზმებისა და მოსწავლეთა ბრიგადების 1977 წლის საზაფხულო მუშაობის შედეგებისა და ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

სულ მალე დედასამშობლოს საზაფხულო შრომითს ფერხულში ჩაებმებიან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობის რაზმები და უფროსკლასელთა შრომითი გაერთიანებები. და მათი შრომა და ოფლი გვინდა იყოს ისეთი, როგორც ეკადრება ჩვენს აღმავალ რესპუბლიკას დღეს, როცა ზეიმობს შრომა, პატიოსნება, გულმართლობა, ისის ღრმა შეგნება, რომ განუყოფელია „ჩემი“ „საზოგადოებრივისაგან“, როცა თითოეულის შრომა ერეკვის ხალხის შრომას სამშობლოს სადიდებლად.

დასამალი არ არის, უფრო მეტიც — ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ და გავითვალისწინოთ, შარშანდელი ზაფხულის ნაკლოვანებები, ზოგჯერ ძალიან სერიოზულიც და მავნეც რომ იყო. ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ, სამშენებლო ორგანიზაციათა, კომეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ხელმძღვანელებმა არ გამოიჩინეს ჯეროვანი დაინტერესება სტუდენტური რაზმებისა და უფროსკლასელთა შრომითი ბრიგადების გამოყენების საქმეში;

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს აქვს ის ფაქტები, რომ სტუდენტები და მოსწავლეები არ ჰყავდათ დასაქმებული საავტომობილო გზების, მსუბუქი, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი, ხორცისა და რძის მრეწველობის, საწყის მასალათა მრეწველობის სამინისტროთა სისტემაში. ახალგაზრდების რაზმები და ბრიგადები შრომობდნენ მხოლოდ 11 სამინისტროსა და უწყების სისტემაში, და აქაც ზოგან არ სრულდებოდა დადებული სამეურნეო ხელშეკრულება, შრომითი ფრონტი რომ არ ჰქონდათ, სტუდენტებს დამხმარე, დაბალი ანაზღაურების სამუშაოებზე იყენებდნენ. საშენი მასალების მიწოდებაში შეფერხებებს მოჰყვა მოცდენები. ამ და სხვა ნაკლოვანებებმა გამოიწვია ის, რომ მილიონად ვერ იქნა მიღწეული შრომითი სემესტრის ჯეროვანი ეფექტიანობა. შარშანდელი სტუდენტური შრომითი ზაფხული ღრმად რომ გაანალიზა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი მეტად დამახასიათებელი და დამფიქრებელი პარალელი გაავლო: რესპუბლიკის ფარგლებში მომუშავე სამშენებლო რაზმების 4885 სტუდენტმა მუშაობისა პერიოდში შეასრულა 7 მილიონ 400 ათასი მანეთის სამუშაო, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მომუშავე სტუდენტური რაზმების 2484 სტუდენტმა კი 5 მილიონ 268 ათასი მანეთის სამუშაო. შესაბამისად ერთ სტუდენტზე საშუალო გამომუშავებამ შრომითი სემესტრის მთელ პერიოდში შეადგინა 1550 მანეთი რესპუბლიკაში, ხოლო 2880 მანეთი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მურმანსკისა და სმოლენსკის ოლქების ზოგიერთ ორგანიზაციაში ჩვენი სტუდენტის საშუალო გამომუშავებამ 3500 მანეთს მიაღწია. რესპუბლიკაში საშუალო თვიური გამომუშავება ერთი სტუდენტისა 115-130 მანეთი იყო, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გამსვლელი რაზმების თითოეული სტუდენტისა კი 240-250 მანეთი.

ამ და მრავალი სხვა ვითარების გათვალისწინება, მუშაობის ნაკლოვანებათა დაძლევა თითოეული სამინისტროს, უწყების, სამშენებლო ობიექტის ხელმძღვანელთა, თითოეული პარტიული და კომკავშირული კომიტეტის ღვიძლი საქმე უნდა იყოს.

საქართველოს სტუდენტურ რაზმებს მიეღიან სმოლენსკის, ვოლოგდისა და მურმანსკის ოლქები. მარტო სმოლენსკის და ვოლოგდის ოლქში 900 კაცისაგან შემდგარ სტუდენტურ რაზმებს გზავნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; მურმანსკში იმუშავებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის 400 სტუდენტი. მარტო კამაზ-ში დასაქმებული იქნება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სოხუმის სუბტროპიკულ მეურნეობათა, ჭყონდიდის პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების, სამოთხესამშენებლო ტექნიკუმის, სამხატვრო აკადემიის, ბათუმის პედინსტიტუტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლის 1220 სტუდენტი; ქალაქ გაგარინშიც იმუშავებენ ჩვენი მომავალი სპეციალისტები. რესპუბლიკის სახელს შორს, ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც გაიტანენ ოთხ ინტერნაციონალურ რაზმში შესული ჩვენი სტუდენტები. იმუშავებენ მოძმე ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, ბულგარეთში, უნგრეთში. 16.000 უფროსკლასელი ზაფხულის არდადეგებს შრომისა და დასვენების 325 ბანაკში გაატარებს. სამშობლოს ჩვენი ახალგაზრდობა წელს 50 მილიონ მანეთს შემატებს. დიდი ენთუზიაზმით იმუშავებენ სტუდენტური რაზმები სოფლის სკოლების, საბავშვო ბალებისა და ბაგების, სათამაშო მოედნებისა და სხვა მშენებლობებზე, 1979 წელი ხომ ბავშვის საერთაშორისო წელია!

ნაყოფიერი, ხალისიანი, გამარჯვებული ყოფილიყოს თქვენი შრომითი ზაფხული, ახალგაზრდებო!

ერთიან ოჯახად

„საბჭოთა საქართველო“ — ასე ეწოდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის წიგნს, რომელიც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა. იგი ასახავს გრანდიოზულ გარდაქმნებს, რომლებიც რესპუბლიკაში განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე.

წიგნში გაშუქებულია რეალური სოციალიზმის მიღწევები ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში, ნაჩვენებია საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი უდიდესი ცვლილებები. სსრ კავშირის საბჭოთა ლენინური მეგობრობა ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების აყვავების და დაახლოების, საბჭოთა სახელმწიფოს ლეონერების განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. (საკდესი).

გულწრფელი მადლობა

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ავსტრიის პრესის სააგენტოს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. კარტერთან მოლაპარაკების გასამართად და სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების ხელმოსაწერად ვენაში ყოფნისას ავსტრიელმა მოქალაქეებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამომგზავნეს ბევრი მისასალმებელი წერილი და ბარათი, რომლებშიც მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის ღონისძიებებს მტკიცე მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების უზრუნველსაყოფად.

იმის გამო, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, პირადად ვერ ვუპასუხებ ამ გულთბილი წერილების თითოეულ ავტორს, ვთხოვთ ავსტრიის პრესის სააგენტოს, გადასცეს ყოველ მათგანს და მათი სახით მთელ ავსტრიის ხალხს ჩემი ულრმესი გულწრფელი მადლობა გამოთქმული კეთილი გრძნობებისა და სტუმარმოყვარეობისათვის. ვუსურვებ ავსტრიის რესპუბლიკის მოქალაქეებს, მისი შესანიშნავი დედაქალაქის — ვენის მკეთდრთ მშვიდობიან ცხოვრებას, კეთილდღეობას და ბედნიერებას“.

ქვეყნად მშვიდობა რომ იყოს

ხალხთა უშიშროებისათვის

მე მუშა კაცი ვარ. შრომა დიდი ბედნიერებაა, რაც იცი, რომ განამტკიცებ შენი სამშობლოს ძლიერებას, რომ შენი შრომა აუმჯობესებს და ალამაზებს ადამიანთა ცხოვრებას. მაგრამ ჩვენი სამშობლოსათვის მრთსხანე ომს მე სხვებთან ერთად ავიღე ხელში იარაღი.

ვინც ომში ყოფილა, არასოდეს დაავიწყდება იგი. არ დაავიწყდება ცეცხლოვანი დღეები და ღამეები, ბრძოლებში დაღუპული მეგობრები და ამხანაგები, დანგრეული ქალაქები და სოფლები. ჩვენ, ყოფილი ფრონტელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ ვიწონებთ ვენაში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის, შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას. როდენ პასუხსაგები და ძნელი სამუშაო შესრულდა, თავიანთი მშვიდობისმოყვარული კურსისადმი რა ურყევი ერთგულება გამოავლინეს ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა, მშვიდობისათვის დაუღალავმა მებრძოლმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, რათა შეაჩერონ გამალებული შეიარაღება, იხსნან კაცობრიობა და მომავალ ათაობათა სიცოცხლე ბირთვული ომის საშინელებისაგან.

გამალებული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება ისტორიაში შევა. მასში ხორცშესხმულია საბჭოთა კავშირის მისწრაფება დაიცვას მსოფლიო ბირთვული კატასტროფისაგან.

ყველას, ვისაც ნამდვილად აწუხებს კაცობრიობის ბედ-იღბალი, ახარებს ის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ერთად გადადგეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა, და სურთ, რომ გამალებული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება რაც შეიძლება მალე დამტკიცდეს.

რ. კოძოზაშვილი,
თბილისის ელექტროვაგონშეკეთებელი ქარხნის ვეტერანი, სამოვე ხარისხის შრომითი დიდების კავალერი.
(საქინფორმი).

ნდობის კეთილი საფუძვლები

ვენაში დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის მოლაპარაკება, ხელმოწერილია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება და საბჭოთა კავშირ-ამერიკის სხვა დოკუმენტები. ამ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენებისადმი მიპყრობილი იყო მსოფლიოს ყველა ხალხის თვალი, შეუნელებელი ინტერესით ვადევნებდით თვალს უმაღლესი დონის მოლაპარაკების მომდინარეობას ჩვენ, ხელოვნაურის რაიონის სოფელ ჭარნალის კოლმეურნეებიც. სულითა და გულით ვიზიარებთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის დოკუმენტების ხელმოწერის დროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის განცხადებაში გამოთქმულ აზრებს.

ვენაში ხელმოწერილი დოკუმენტები ყველა ხალხს სჭირდება, ისინი კეთილ საფუძველს უყრიან ნდობას. მაგრამ ვფიქრობ, მთავარი წინ არის. დოკუმენტების ხელმოწერას კონკრეტული საქმეები უნდა მოჰყვეს.

მე ცამეტი შვილის დედა ვარ, მყავს 14 შვილიშვილი. ჩვენთვის, დედებისათვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სანუკვარია მშვიდობა, მოწმენდილი ზეცა ჩვენი შვილების თავზე და ვგალობოთ, რომ მშვიდობა უნდა განვამტკიცოთ დამკვრელური მუშაობით. დიდი ხანია დავიმსახურე პენსიაზე გასვლის უფლება, მაგრამ დღემდე საკოლმეურნეო პლანტაციებში ვანავარძობ შრომას, უკვე წლევანდელ სეზონში მოვკრიფე 2,500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ეს ორი თვის დავალებაზე 500 კილოგრამით მეტია. დღეს კოლმეურნეობაში შეჯამდა კრეფის სამუშაოთა პირველი პერიოდის შედეგები, და მოხარული ვარ, რომ ჩემი გვარი კრებსითი ცხრილის პირველ სტრიქონზეა.

უ. დუმბაძე,
ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალის კოლმეურნე, გმირი დედა, აჭარის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. (საქინფორმი).

დამაჯერებელი გამარჯვება

დღეს თბილისის ნავთობსადენების სამმართველოს კოლექტივმა კიდევ რამდენიმე ტონა სათბობი მიაწოდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას. დასახულ მიჯნას ნავთობგადამტუმბავებმა კათვალისწინებულზე ორი თვით ადრე მიაღწიეს.

— ახლა, — გვითხრა სამმართველოს უფროსმა თ. მირზიაშვილმა, — ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ნახევარზე მეტი ქართულ სათბობზე მოდის. სულ ცოტა ხნის წინათ ნავთობსადენის მაგისტრალის რემონტი დავამთავრეთ და მისი გამტარუნარიანობა დღე-ღამეში ასეულ ტონობით გავზარდეთ. ამის შედეგად სადენით ნავთობის ტრანსპორტირება რკინიგზის ცისტერნების გამოთავისუფლების გზით სამჯერ გაიაფდა.

განვლილ ხუთ თვეში სამმართველოს კოლექტივმა გადატუმბა გაცილებით მეტი სწვავი, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო. წლის ბოლომდე ბათუმის ქარხნისათვის ზეგეგმით მიწოდებულ ნედლეულს კიდევ ათასობით ტონა დაემატება.

სამმართველოს წარმატებებს დიდად შეუწყვეს ხელი მცხეთის, გორისა და ოსიაურის ნავთობგადასატუმბი სადგურების კოლექტივებმა, რომლებსაც ი. ჩიტიაშვილი, მ. ილარიშვილი და ა. ხაჩიძე ხელმძღვანელობენ. თავდადებული შრომით თავი გამოიჩინა ავრეთვე ნაფიჩხოვოს მარქსის სახელობის, ჩხოროწყუს ლენინის სახელობის, კირცხის, ლეწურწუმის, ლესიჭინისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ჩხოროწყუელი საკვებმომპოვებლები იბრძვიან ვალდებულების გადამეტებით დაამზადონ ათასი ტონა — სულ კი 6 ათასი ტონა სენაჟი.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲐ

ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ პირველად ამ ათიოდე წლის წინათ მოვიდა დედაქალაქის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ კიროვის სახელობის მეთაურ ქარხანაში. ამ ხნის მანძილზე მუყაითი და თავდადებული შრომით მან კოლექტივის წევრთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მოწინავე მრანდავი ნახელავს დღეს წუნი არ დაედება.



ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: კომუნისტური შრომის დამკვრელი, მრანდავი ანატოლი გაფრინდაშვილი.

Ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲨᲔᲠᲕᲨᲔᲜᲐᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡ

მიმდინარე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ანგარიშში [illegible] ელექტროვიბრაციული — ქარხნების ქარხნის მეედელთა ბრიგადამ, რომელსაც ალექსი [illegible] ხელმძღვანეობდა.

საწარმოს თერმული უბანი, სადაც ეს პატარა კოლექტივი შრომობს, სამაგალითოა, ახლახან აქ მოწინავეთა გამოცდილების სკოლა შეიქმნა. მეედელთა დამსახურება განა მარტო ის არის, რომ ისინი ყოველდღიურ დავალებას 130 პროცენტით ასრულებენ. არა, ასეთი ბრიგადები ქარხანაში ბევრია, მთავარი ის გახლავთ, რომ მეედელთა ნახელავს კონტროლი არ სჭირდება, ბრიგადის წევრების მიერ გამოშვებული ნაწარმი მხოლოდ უმაღლესი ხარისხისაა.

ᲗᲘᲜᲘᲜᲘᲜᲘ.
ელექტროვიბრაციული ქარხნის პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილე.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ

თბილისი. მეორე კვარტალის დამამთავრებელი თვის გრაფიკს საგრძნობლად უსწრებს წინ დედაქალაქის № 2 ავტოშემკეთებელი ქარხნის (დირექტორი მ. ბერიძე) კოლექტივი. საწარმოში მთელი რიგი ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად აქ მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ავტოშემკეთებლებმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით წარმატებით შეასრულეს მიმდინარე ხუთწლედის მეოთხე წლის იანვარ-მაისის სახელმწიფო დავალებანი. ამ ხნის განმავლობაში მათ გეგმის გადამეტებით აწარმოეს 142 ათასი მანეთის მოლანი პროდუქცია, ხოლო მისი რეალიზაციის დავალებას 9,8 ათასი მანეთით გადააჭარბეს. ამ წარმატებებში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ამწყობ ზეინკლებს გ. შელამეს, ს. ჩიხელს, ა. ათაბეგოვს, გადამკვრელ ზ. ზანგურაშვილს და სხვებს.

თ. კინწურაშვილი.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲬᲚᲘᲡ

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲡᲗᲐᲜ

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დასახრულამდე ათიოდე დღე დარჩა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაცილებით მეტი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ერთმანეთს თავს სახელმწიფო გეგმების შესრულებას.

განსაკუთრებული წარმატებებია მოპოვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. არის იმის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ნახევარი წლის შედეგების მიხედვით ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იქნება.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲡ?

ᲛᲙᲘᲐᲜ ᲛᲝᲗᲐᲕᲔᲜᲘ

სიღნაღელ მხვნელ-მთესველთა თაოსნობას — პურეულის მოსავალი აიღონ ინტენსიურ მექანიზატორთა მეთოდით სწრაფად, უდანაკარგოდ, მკას თან მოჰყვეს ხვნა, სანაწვერალო კულტურების თესვა — ბევრი რაიონის მექანიზატორებმა დაუჭირეს მხარი.

რაიონის კომეურნეობებს შორის შეჯიბრების ინიციატორია ბოდბისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, ხოლო კომბაინერთა შორის — ტიბაანელი მექანიზატორი გივი ლომიბაშვილი. მათ პირველებმა გაავლეს კვალი დამწიფებულ ქერის ყანებში. ბოდბისხევლების მკაში მხარი აუბეს ვაქირის, ჯუგაანის, ანაგის და ძველი ანაგის კოლმეურნეობების მექანიზატორებმა.

შვიდი კომბაინი მუშაობდა ვაქირის კოლმეურნეობაში. 220 ჰექტარიანი ნაკვეთიდან 60 ჰექტარზე იქნა მოსავალი აღებული. სამკელ აგრეგატებს მარჯვედ და შეუფერხებლივ ამუშავებენ გიორგი მოსაშვილი, თამაზ კორინთელი, გოდერძი ტალიაშვილი, შოთა ჩალათაშვილი. ერთ დღეს 80 ტონაზე მეტი მარცვალი გაგზავნეს კალოზე.

ჯუგაანელთა ქერის ყანებში ორი სამკალი რგოლი, 8 კომბაინი, 9 ავტომანქანა, ორი სახნავ-სათესი ტრაქტორი იყო ჩამდგარი. მკაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ ვარდო მატიაშვილი, გერონტი ჯიუაშვილი, გივი კიკილაშვილი. პირველივე დღეს მათ 20 ჰექტარზე მოგკეს ყანა. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 23 ცენტნერია. კომბაინებს კვალში მისდევს ნამჯის წნეხ-ამკრები აგრეგატი. მას აბრამ ოღიაშვილი მართავს.

პირველ დღეს მომკილი მინდორი მოხნეს და სიმინდი დათესეს. გივი ელაშვილი, ელბერდ აბულაშვილი და ნოდარ ალადაშვილი სათეს აგრეგატებზე მუშაობენ.

სამუშაო გეგმა-გრაფიკის მიხედვით მექანიზატორებს შექმნილი აქვთ მუშაობის, დასვენების ნორმალური პირობები. მათთან მინდვრად მიაქვთ ცხელი კერძები, ბოხტნეული, გამაგრილებელი წყლები მზარეულებს გ. ზედელაშვილს, ც. ლურსმანაშვილს, ო. გოზალიშვილს. მედპუნქტთან ერთად ყოველდღე კალოზეა ექთანი ლ. ჰუმულაშვილი.

მუშაობის პირველ დღეს თან ახლდა ნაკლიც. ეს მექანიზატორებთან ერთად უნდა გაითვალისწინონ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა, დარგის სპეციალისტებმა, „საქსახკომსოფლტექნიკის“ წარმომადგენლებმა. ვაქირის კოლმეურნეობის ერთ კომბაინს ცელი გაუტყდა, სათადარიგო კი არ ჰქონდათ, მანქანა მთელ დღეს გასცდა, როგორც მექანიზატორებმა თქვეს, სათადარიგო ნაწილების ნაკლებობა იგრძნობაო, არა აქვთ ცელი და ცელის სეგმენტები, წამყვანი ღვედები, ნამჯის ამკრეფ-დამწნები მანქანის კონუსური კბილანები, კარბიდი და სხვ. ეს იწვევს შეფერხებებს მუშაობაში, მარცვლისა და ნამჯის დანაკარგებს.

იმავე სალამოს ამ საკითხზე მოსავლის აღების ხელმძღვანელობის საკოორდინაციო შტაბმა იმსჯელა და სათანადო ღონისძიებების განხორციელების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. ალოობა გრძელდება!

ვლ. მჯედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: ქერის მკა სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის ალაზნისპირა მინდვრებში.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორონიკა).

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲓᲔᲝᲠᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პარტიული ორგანიზაციების, კულტურის ორგანოების, იდეოლოგიური დაწესებულებებისა და უწყებების, შემოქმედებითი კავშირების წინაშე დასახულია ამოცანა სრულყონ მხატვრული ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა და მარქსისტულ-ლენინური განათლება, დღენიადაგ იზრუნონ მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა, ჟურნალისტთა მაღალი იდეურობის, მოქალაქეობრიობისათვის, მათი შემოქმედებითი აქტივობის განვითარებისათვის.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝ: ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობისა და „კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სამხატვრო საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდა რესპუბლიკის მწერალთა კავშირი. იგი მიეძღვნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ 1978 წლის პროდუქციის განხილვას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა რ. ჩხეიძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის დოცენტმა ვ. ჭილაძემ.

განხილვაში მონაწილეობდნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილების მთავარი რედაქტორი გ. დვალიშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გ. ციციშვილი, კინომცოდნეები ო. თაბუკაშვილი, ი. კუჭუხიძე და ტ. თვალჭრელიძე, კინორეჟისორი ლ. ღოღობერიძე, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი ოპერატორი ლ. პაატაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირი გ. კურტანიძე, მოსკოველი კინოკრიტიკოსები ბ. რუნინი და ი. შილოვა, მუსიკათმცოდნე ნ. ქავთარაძე, მწერალი ჭ. ამირეჯიბი, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი ო. ეგაძე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ე. შენგელაია.

ქართული კინო, აღინიშნა მოხსენებასა და გამოსვლებში, საბჭოთა კინემატოგრაფიის მთელი განვითარების მანძილზე, რომლის მე-60 წლის თავი წელს უნდა ვიდღესასწაულოთ, მჭიდროდ და ორგანულად არის დაკავშირებული მის იდეებთან და პრინციპებთან.

ქართული კინოსათვის მთავარი ორიენტირი მუდამ იყო და არის მილიონობით საბჭოთა ადამიანის სულიერი მოთხოვნილებანი, ინტერნაციონალიზმის იდეები.

საზღვარგარეთ გამართულ ფესტივალებზე საბჭოთა კინოს ავტორიტეტში ქართულ ფილმებს არაერთხელ დაუმსახურებიათ გამარჯვება. ამას მოწმობს მრავალი პრიზი და პრემია საკავშირო და საერთაშორისო დათვალიერებებზე, რომლებიც გაიმართა ბულგარეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ბერლინში, საბერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში. ყველგან ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში ქართული ფილმები სასურველი და ძვირფასი სტუმრები გახდნენ.

ეს დიდი პატივიც არის და დიდი პასუხისმგებლობაც.

სხდომის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში დაწვრილებით გააანალიზეს გასულ წელს შექმნილი ქართული კინოპროდუქცია. აღინიშნა ლანა ღოღობერიძის ფილმის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ დამსახურებული წარმატება.

მხურვალე დისკუსიის საგნად იქცა ფილმები „ჩემი მეგობარი ძია ვანია“, „ყვავილვარე“, „ბათიქელია“, „XIX საუკუნის ქართული ქრონიკები“, კინოალმანახი „სიცოცხლის ფასი“, „დათა თუთაშხია“, „იტალიამდე არც ისე შორსაა“ და სხვები.

მიუხედავად ამისა, აღინიშნა გამოსვლებში, ჯერ კიდევ ცოტაა ფილმები, რომლებიც მაღალ მოქალაქეობრივ გრძნობებს იწვევდეს, რომლებშიც დადებითი გმირი თავისი ხმით ლაპარაკობდეს, მაყურებელს აღანთებდეს პირადი მაგალითის ძალით.

სხდომის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს კინოსტუდიის ტექნიკურ აღჭურვილობას, კინორეჟისორთა მომზადებას, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტისა და შემოქმედებითი გაერთიანება „დებიუტის“ როლს კინემატოგრაფისტთა ახალგაზრდა ცვლის აღზრდაში, კინოკრიტიკის მდგომარეობას.

გაერთიანებული სხდომის მონაწილეები განსაკუთრებით შეეხნენ ფილმის საფუძვლის — სცენარის პრობლემას. აღინიშნა, რომ ბევრი სცენარის სუსტი დრამატურგია უფერული და ულიმლამო ფილმების გამოსვლის მიზეზი გახდა.

კინემატოგრაფისტთა და მწერალთა დიალოგი იქცა სერიოზულ სკა-ბაასად ქართული კინოს პერსპექტივების შესახებ. ლიტერატორებმა გადაწყვიტეს შექმნან კინოსცენარები როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ფილმებისათვის.

ქართული კინოს მოღვ

პარტიული ცხოვრება

აღზრდის სკოლა

კომუნისტი თავის კრებაზე

ნახევარი საუკუნე გავიდა პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღებიდან. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი ორმაგად აღსანიშნავია ზესტაფონელ ფერომეტალურგიელთათვის — ჩვენი ქარხანა ზომ სწორედ პირველი ხუთწლედის პირმშოა.

არქივის გაყვითლებულმა ფურცლებმა შემოგვინახა ჩვენი საწარმოს და, კერძოდ, მისი პარტიული ორგანიზაციის ისტორიაც. რარიგად გავიზარდეთ, გარდავიქმენით, თუ ქარხნის მშენებლობის დაწყებისას — 1929 წელს მისი პარტორგანიზაცია მხოლოდ 9 კომუნისტს თვლიდა, დღეისათვის იგი ასჯერ გაიზარდა. ამჟამად ქარხნის ყოველი მეოთხე მუშა კომუნისტია და სწორედ მათი უდიდესი დამსახურებაა, რომ საწარმო, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ერთი სახეობის შენადნობს ამზადებდა, დღეს საკავშირო მნიშვნელობის ჭარხანა-ლაბორატორიაა, რომლის პროდუქცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგზავნება.

ნათქვამია, სახელის მოხვეჭა ძნელია, დაკარგვა კი ადვილი. იგივე შეიძლება ითქვას წარმატებებზეც. ამიტომაც ქარხნის პარტიული კომიტეტი დღენიადაგ ცდილობს ეამაღლოს საწარმოს მშრომელების და, განსაკუთრებით, კომუნისტების პასუხისმგებლობა, განაწყოს ისინი ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ამ მიზანს ემსახურება მთელი ჩვენი პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. მაგრამ მთავარ ყურადღებას მაინც პარტიული კრების — კომუნისტთა აღზრდის ამ ჭეშმარიტი სკოლის — მომზადებასა და ჩატარებას ვანიჭებთ.

საწარმოს პარტიული კომიტეტი, საამქრო და განყოფილებათა პარტორგანიზაციების უმრავლესობა მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ სერიოზულ საქმეს. მართალია, მთელი მუშაობა წინასწარ შედგენილი და შემოწმებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, მაგრამ ამასთან გვახსოვს, რომ, ჯერ ერთი, ყოველი ახალი დღე თითოეული კოლექტივის წინაშე უამრავ აქტუალურ ცხოვრებისეულ საკითხს აყენებს, რომელთა უმეტესობა ოპერატიულად უნდა გადაიჭრას და ამდენად მათ ვერც გაითვალისწინებ წინასწარ შედგენილ გეგმებში. მეორეც, პარტიული მუშაობა შემოქმედებითია, რომელსაც წინასწარ განსაზღვრულ ჩარჩოებში ვერ მოაქცევ. ამიტომ მიმდინარე და, განსაკუთრებით, პერსპექტიულ სამუშაო გეგმებში ასეთი „მოულოდნელი“ საკითხებისათვის მუდამ ვითვალისწინებთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დერეფნებს“. მაგრამ გეგმით დასახული ყოველი კრების დღის წესრიგს, როგორც წესი, წინა კრებაზე განვსაზღვრავთ და ვაცნობთ კომუნისტებს. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ეს კარგ ნაყოფს იღებს, რადგან იგი საშუალებას აძლევს კომუნისტებს უკეთ მოემზადონ კრებისათვის, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი, წამოაყენონ საკუთარი წინადადებები.

ასე მოხდა, მაგალითად, № 1 საამქროში, როცა საამქრო პარტორგანიზაციამ შრომის და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების საკითხის განხილვა გადაწყვიტა. აქ კრებამდე ერთი თვით ადრე შეიქმნა კომისია, რომელსაც პარტბიუროომ დაავალა მოემზადებინა ანგარიში კრებისათვის იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ საამქროს შრომელები რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობის —„არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენ გვყავდით“ — პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს.

კრებამდე კომუნისტებმა — — მდნობელთა ბრიგადირებმა ო. გაჩეჩილაძემ, გ. ფერაძემ, მექანიკოსმა რ. ხუსკივაძემ, ცვლის უფროსმა გ. ღვინჭილიამ წარუდგინეს პარტბიუროს თავიანთი წინადადებები, რომელთა გათვალისწინებით მომზადდა მოხსენება. ეს კრება ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ მდნობელებს ბ. ფერაძეს, მ. ზუზაძეს, შ. ნებიერიძეს, დ. მაჭავარიანს, რომლებიც ამხანაგურად, მაგრამ მკაცრად გაკიცხეს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.. ღია პარტიულმა კრებამ ადმინისტრაციის წინაშე აღძრა საკითხი, რომ ო. ბოჭორიშვილმა, გ. ფერაძემ, ბ. მაღლაკელიძემ კრებაზე მოითხოვეს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ ამ საკითხს მეტი ყურადღება მიაქციოს. სრულიადაც არ კმარა, თქვეს მათ, რომ ქარხნის ორი სახეობის პროდუქციამ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი დაიმსახურა. უფრო მეტისათვის უნდა ვიბრძოლოთ. ამისათვის კი მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობა დანადგარების შეცვლა არის საჭირო. ეს განსაკუთრებით საკაზმე განყოფილებას ეხება. მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვაწვდიან უხარისხო რკინის მადანს, საუფრო მოგვიანებით ყაზახ მანქანათმშენებელთა რეკლამაციაც კი მიიღეს.

სწორედ ამიტომ კომუნისტებმა ო. ბოჭორიშვილმა, გ. ფერაძემ, ბ. მაღლაკელიძემ კრებაზე მოითხოვეს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ ამ საკითხს მეტი ყურადღება მიაქციოს. სრულიადაც არ კმარა, თქვეს მათ, რომ ქარხნის ორი სახეობის პროდუქციამ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი დაიმსახურა. უფრო მეტისათვის უნდა ვიბრძოლოთ. ამისათვის კი მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობა-დანადგარების შეცვლა არის საჭირო. ეს განსაკუთრებით საკაზმე განყოფილებას ეხება. მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვაწვდიან უხარისხო რკინის მადანს, საუფრო მოგვიანებით ყაზახ მანქანათმშენებელთა რეკლამაციაც კი მიიღეს.

სწორედ ამიტომ კომუნისტებმა ო. ბოჭორიშვილმა, გ. ფერაძემ, ბ. მაღლაკელიძემ კრებაზე მოითხოვეს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ ამ საკითხს მეტი ყურადღება მიაქციოს. სრულიადაც არ კმარა, თქვეს მათ, რომ ქარხნის ორი სახეობის პროდუქციამ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი დაიმსახურა. უფრო მეტისათვის უნდა ვიბრძოლოთ. ამისათვის კი მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობა-დანადგარების შეცვლა არის საჭირო. ეს განსაკუთრებით საკაზმე განყოფილებას ეხება. მართალია იშვიათად, მაგრამ მაინც გვაწვდიან უხარისხო რკინის მადანს, ...

კომუნისტი თავის კრებაზე

გრამ პროდუქციის ხარისხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახლა, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედში. ჩვენი ქარხნის პროდუქცია მოსწონთ საზღვარგარეთის ქვეყნებში, აქაური შენადნობები მსოფლიოს სტანდარტების დონეზეა. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად არ მოხდარა. ამ საქმესაც სათავეში კომუნისტები უდგანან, რომლებიც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას თავიანთი ღირსების საქმედ თვლიან.

ისევ პირველი საამქროს პარტიული ორგანიზაციის მაგალითი მინდა მოვიყვანო. საამქროს უფროსის მოადგილე ნ. აბულაძე და სახალხო კონტროლიორები კრებამდე მთელი თვის განმავლობაში სწავლობდნენ პროდუქციის ხარისხის და ნომენკლატურის დაცვის მდგომარეობას. მათ კრებაზე სიამაყით აღნიშნეს მიღწეული, მაგრამ არც ნაკლოვანებები დაუფარავთ. პირიქით, ისიც კი თქვეს, რომ ამ ორი წლის წინათ უმაღლესი მარკის ლითონის დამზადების გეგმების შეუსრულებლობით დიდი ზარალი მიაყენეს სამშობლოს, ხოლო

საყოველთაო აღიარება



ოცი წლის წინათ თბილისში შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი.

ქართველი კიბერნეტიკოსების მიერ დამუშავებული საკითხების სიახლემ და აქტუალობამ მეცნიერთა და სპეციალისტთა ფართო წრეების უყურადღება მიიპყრო.

დღეს კიბერნეტიკის ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ჭავჭანიძე ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა. ათობით განყოფილებასა და ლაბორატორიაში ნაყოფიერად შრომობს ასობით სპეციალისტი. მათი მუშაობის მთავარი მიმართულება ახალი ფიზიკური რეალიზაციის კიბერნეტიკული სისტემების ფიზიკური, ბიოლოგიური და ფუნქციურ-ლოგიკური საფუძვლების ექსპერიმენტული კვლევაა.

სურათებზე: (ზემოთ) გამომთვლელი სისტემების განყოფილება. პულტთან ოპერატორი ლეილა ოძელაშვილი; (მარცხნივ) მაგნიტურ-ოპტიკური მოწყობილობის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი იამზე კახაბრიშვილი აკვირდება მაგნიტური აფსკების დაფრქვევის პროცესს; თეორიული კიბერნეტიკის განყოფილებაში მიმდინარეობს ექსპერიმენტი. წინა პლანზე — გამომთვლელი ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი ვიაჩესლავ კოჩერგინი.

ფ. კრიმსკის ფოტო,
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ავტომობილი ფონას „იკლებს“

წლის დამდეგიდან ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ყოველ გამოშვებულ მანქანაზე 13,5 კილოგრამით ნაკლებ ლითონს ხარჯავს, ვიდრე 1978 წელს.

ავტომობილების გამოშვებისას ლითონის ხარჯვის შემცირება მიღწეულია ტექნიკური სიახლეთა დანერგვის შედეგად. მაგალითად, დაინერგა მანქანის ათი პლასტმასის დეტალის დამზადების ახალი მეთოდი, რომელიც ქუთაისელმა კონსტრუქტორებმა და მოსკოვის ავტომობილებისა და მოტორების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა შეიმუშავეს. ეს სიახლე საწარმოს საშუალებას მისცემს წელს დაზოგოს 6 ტონამდე ლითონი, 3,6 კილოგრამით შეამციროს ყოველი მანქანის წონა.

ლითონის, ელექტროენერგიისა და ხე-ტყის დიდ ეკონომიას იძლევა პლასტმასისაგან მძღოლის კაბინის გასათბობი სისტემის, საჭისა და სხვა კვანძების დამზადება.

ქარხანაში გამოცდას გადის ხუთი პლასტმასის დეტალი, რომელთა დანერგვის შედეგად ყოველ მანქანაზე კიდევ შვიდი კილოგრამი ლითონი დაიზოგება. (საქინფორმი).

კადრები: კომპეტენტურობა, ნდობა, კანონიერებისადმი

მოსაზრებები, წინადადებები

კადრების აღრიცხვის პირად ფურცელში ხელმძღვანელი მუშაკის მთელი რიგი ანკეტური მონაცემებია შეტანილი. იგი პიროვნების ერთგვარ სურათს ხატავს. მაგრამ ასეთი პირადი ფურცელი მაინც ვერ გვაძლევს სრულყოფილ წარმოდგენას მუშაკზე.

ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ სპეციალურ გრაფაში ჩაიწერება პიროვნების უარყოფითი თვისებებიც. მაგალითად, რა დაშავდება, თუ აღინიშნება ასეთი რამ: ავლენს კუთხურობას, იოლად ექცევა მეუღლის ან ნათესავების გავლენის ქვეშ და ა. შ.

ასეთი ჩანაწერები გათვალისწინებული იქნება ამა თუ იმ მუშაკის დაწინაურებისას ან გადაადგილების შემთხვევაში.

თ. კუბლაშვილი.

პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

ძალიან ხშირად იტყვიან ხოლმე რომელიმე ხელმძღვანელ მუშაკზე ნიჭიერი, გამოცდილი კაციაო. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ საკითხავია, ახმარს კი იგი მთელ თავის უნარს, შესაძლებლობებს საქმის წინსვლას?

სამწუხაროდ, ხშირად ზოგიერთი ხელმძღვანელი არამცთუ არ იჩენს ინიციატივას, არ ეძიებს სიახლეს, არამედ გაურბის კიდეც ყოველივე პროგრესულს, ძველი, გატკეპნილი გზით სიარულს არჩევს. ამიტომაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაკის დანიშვნისას, ბევრ სხვა რამესთან ერთად, მხედველობაში უნდა მიიღონ ისიც, იჩენდა თუ არა იგი ძველ სამუშაოზე ინიციატივას. ეს აუცილებელია, რადგან ინიციატივა, სიახლე ზომ წინსვლის საწინდარია.

კიდევ ერთი საკითხი. კადრების შერჩევაზე უარყოფითად მოქმედებს ის, რომ სათანადო ზემდგომი ორგანოები ზოგჯერ ყოველგვარი შესწავლა-შემოწმების გარეშე უყოყმანოდ ერწმუნებიან ხოლმე დაწესებულების ხელმძღვანელის წინადადებას, ზოგჯერ აშკარად ტენდენციურ შეხედულებას ამა თუ იმ მუშაკის შესახებ.

შ. გურგენიძე,

სკკკ წევრი (ორჯონიკიძის რაიონი).

ამ გიოლო დროს რესპუბლიკის ბევრ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში შემოიღეს ავტოხაქმის, ტრაქტორის მართვის და სხვა სპეციალობათა სწავლება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რადგან ახალგაზრდა სკოლაშივე ეუფლება სპეციალობას, ემზადება შრომითი საქმიანობისათვის.

ჩემი აზრით, კარგი იქნება, რომ ყველა ზოგადსაგანმანათლებელო საშუალო სკოლაში მოსწავლეები ეუფლებოდნენ სახალხო მეურნეობის რომელიმე იმ დარგის სპეციალისტისათვის საჭირო ცოდნას, რომელიც მათ ქალაქსა თუ რაიონში წამყვან დარგად ითვლება. ეს საშუალებას მისცემს ახალგაზრდას, თუ უმაღლეს სასწავლებელში არ განაგრძობს სწავლას, სკოლაში მიღებული სპეციალობით იმუშაოს.

ამ საკითხის მოგვარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგის ძირეული რგოლების უზრუნველყოფას კვალიფიციური კადრებით.

შ. ინასარიძე.

ახალციხის რაიონის მინაძის საბჭოთა მეურნეობის მუშა, გმირი დედა.

უმაღლესი განათლების მქონე, კომპეტენტური, კვალიფიციური სპეციალისტები სახალხო მეურნეობის ყველა დარგს ერთნაირად სჭირდება. მაგრამ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მათ მწვავე ნაკლებობას განვიცდით. მაგალითად, ბორჯომის „კურორტვაჭრობის“ 728 მუშაკიდან მხოლოდ 37-ს აქვს უმაღლესი განათლება. საერთოდ, აქ მომუშავეთა 87 პროცენტს საშუალო ან დაბალი განათლება აქვს. ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რომ ხშირია მომხმარებლისადმი უპატივცემლო, უგულისყურო დამოკიდებულების ფაქტები, დაბალია მომსახურების კულტურა და სხვ. არადა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბორჯომი საქვეყნოდ სახელგანთქმული კურორტია და აქ მრავალი უცხოელი სტუმარიც ჩამოდის.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს დაკომპლექტებას უმაღლესი განათლების მქონე და კვალიფიციური საშუალო და დაბალი რგოლის სპეციალისტებით, მათ სისტემატურ სწავლებას, პროფესიულ დოსტატებას, გამოვნახოთ ამის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

ლ. ხაჩიძე.

ბორჯომის „კურორტვაჭრობის“ პარტბიუროს მდივანი.

ენგურჰესის მშენებლობის ახალი დღიური

კვლავ დაძაბული შრომის დღეებია ენგურჰესის კომპლექსის მშენებლობაზე. ზვიად მთებს შერკინებულ მშენებელთა თავდადებულმა შრომამ შედეგიც სასიხარულო გამოიღო. წლეულს, იანვარ-მაისში გეგმით გათვალისწინებული 14 მილიონ 496 ათასი მანეთის ნაცვლად 16 მილიონ 884 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულეს, რაც საანგარიშო ეტაპზე გეგმას 17 პროცენტით აღემატება.

ენგურჰესელებმა განსაკუთრებით ნაყოფიერად იშრომეს მაისში და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმას 366 ათასი მანეთით გადაჭარბეს. განვლილ პერიოდში მათ ასევე გადაჭარბებით შეასრულეს „კაპიტალური დაბანდების გეგმა-დავალებები. ყოველივე ეს კი პირველ რიგში სოციალისტური შეჯიბრებისადმი მტკიცე კონტროლით, შრომის ორგანიზაციის სრულყოფით, რეზერვების ამოქმედებითა და, რაც მთავარია, მიდიდებული საქმისათვის თითოეული მუშის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პირადი პასუხისმგებლობის გადიდებით გახდა შესაძლებელი.

მშენებარე კომპლექსის თაოსანი „აშხალი უპირველესი მნიშვნელობის ობიექტია. მოქმედი აგრეგატების გამართული მუშაობა, ახლის დროული ამუშავება „აშხალმშენის სამმართველოს (უფროსი — ნ. შარტავა, პარტორგანიზაციის მდივანი — კ. კვირკველია) მოქნილ, ოპერატიულ მუშაობაზე დამოკიდებული. მათ ეს კარგად აქვთ შეგნებული. ამიტომ ძალ-ღონეს არ ზოგავენ ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის.

მაგრამ მიღწეული როდი აკმაყოფილებთ მშენებლებს, რომლებმაც „გულისტკივილით განაცხადეს: შედეგები უკეთესი გვექნებოდა, რუსთავის ცემენტის ქარხანა რეგულარულად რომ გაწვდიდესო „აშხალის ტანისათვის სპეციალურად დამზადებულ მაღალი სიმტკიცის ცემენტს. ვფიქრობთ რუსთავის ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელობა გაიზიარებს მშენებელთა ამ სამართლიან გულისტკივილს და დროულად მოაწვდიან განრიგით კუთვნილ ცემენტს.

სასიხარულოა, რომ ენგურჰესის ძირითადმა სადგურმა (სამმა მოქმედმა აგრეგატმა) გაშვების დღიდან ნახევარი მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამომუშავა, რაც ლაჯანურჰესის წლიური გამომუშავების გეგმის ტოლია. ამ მაჩვენებელს სწორი ექსპლოატაციის შედეგად მიაღწიეს. მიუხედავად ამისა ძალოვანი კვანძის მშენებლობის სამმართველოს (უფროსი — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი უ. გოჯიაშვილი) მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს ჯერ ნეთის მთის თოვლიან კალთებზე შეეუჟეულ პატარა სოფლის ხუდონის მახლობლად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ხუდონის ჰიდროკვანძის მშენებლობის დაწყებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. აღნიშნულ ობიექტზე მშენებლობის სამუშაოთა დაჩქარებას. ამ კომპლექსის მოსამზადებელი სამუშაოების მთლიანი ღირებულება 20 მილიონ მანეთს აღწევს, და 1981 წლის პირველი ნახევრისათვის უნდა დამთავრდეს.

ხუდონის ჰიდროკვანძი გაცილებით უფრო რთულ ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ პირობებში შენდება, ვიდრე ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი.

მშენებლების მიერ წელს ასათვისებელი 2 მილიონი მანეთიდან 5 თვეში მილიონ 662 ათასი მანეთი უკვე ათვისებულია. მშენებლები მოსამზადებელი სამუშაოების წლიური გეგმის შესრულებას პირველი იანვისისათვის კისრულობენ. ამიტომ მთებს შუა მოქცეულ ამ პატარა ხეობაში დილიდან გვიან ღამემდე არ წყდება შრომა, შენდება გზები, 450-მეტრიანი საკმაოდ დიდი კვეთის გვირაბი ენგურის გადასაგდებად, ხიდები, ენერგომომარაგების, კავშირგაბმულობის, ბეტონის მეურნეობის და სხვა ობიექტები.

სულ გასაყვანი 145 კილომეტრი გზიდან, 112 კილომეტრს გაიყვანენ. ძირითად საგზაო არტერიად არჩეულია მესტიისაკენ მიმავალი გზა, მაგრამ მისი გაბარიტი ვერ უზრუნველყოფს ხუდონზე გათვალისწინებული სამშენებლო ტექნიკის გატარებას, ამიტომ პირველ რიგში მიმდინარეობს მისი რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოები. ხუდონის ტერიტორიაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა პირველი დროებითი ხიდი ენგურზე. კარგად მუშაობს ენგურჰესის მშენებლობის სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოს (უფროსი — ო. ომიანიძე) ის უბანი, რომელსაც ე. პაჭკორია ხელმძღვანელობს.

ჯვარიდან ენგურის მარჯვენა ნაპირზე დაიწყო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელსაც „ეკავასელექტროქსელმშენის“ (უფროსი — ნ. გუხცაძე) სამმართველო აწარმოებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს მისამართით, რომელიც დღემდე მშენებლობაზე თითქმის არაფერს აკეთებს, ხუდონჰესის მშენებლები კი სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ სატელეფონო კავშირის უქონლობის გამო.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპკ. კორ.

მარტო ტემპი რას უშველის...

● აკლიათ ცემენტი ● არა აქვთ სატელეფონო კავშირი

ში და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის გეგმას 366 ათასი მანეთით გადაჭარბეს. განვლილ პერიოდში მათ ასევე გადაჭარბებით შეასრულეს „კაპიტალური დაბანდების გეგმა-დავალებები. ყოველივე ეს კი პირველ რიგში სოციალისტური შეჯიბრებისადმი მტკიცე კონტროლით, შრომის ორგანიზაციის სრულყოფით, რეზერვების ამოქმედებითა და, რაც მთავარია, მიდიდებული საქმისათვის თითოეული მუშის, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პირადი პასუხისმგებლობის გადიდებით გახდა შესაძლებელი.

მშენებარე კომპლექსის თაოსანი „აშხალი უპირველესი მნიშვნელობის ობიექტია. მოქმედი აგრეგატების გამართული მუშაობა, ახლის დროული ამუშავება „აშხალმშენის სამმართველოს (უფროსი — ნ. შარტავა, პარტორგანიზაციის მდივანი — კ. კვირკველია) მოქნილ, ოპერატიულ მუშაობაზე დამოკიდებული. მათ ეს კარგად აქვთ შეგნებული. ამიტომ ძალ-ღონეს არ ზოგავენ ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის.

მაგრამ მიღწეული როდი აკმაყოფილებთ მშენებლებს, რომლებმაც „გულისტკივილით განაცხადეს: შედეგები უკეთესი გვექნებოდა, რუსთავის ცემენტის ქარხანა რეგულარულად რომ გაწვდიდესო „აშხალის ტანისათვის სპეციალურად დამზადებულ მაღალი სიმტკიცის ცემენტს. ვფიქრობთ რუსთავის ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელობა გაიზიარებს მშენებელთა ამ სამართლიან გულისტკივილს და დროულად მოაწვდიან განრიგით კუთვნილ ცემენტს.

სასიხარულოა, რომ ენგურჰესის ძირითადმა სადგურმა (სამმა მოქმედმა აგრეგატმა) გაშვების დღიდან ნახევარი მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამომუშავა, რაც ლაჯანურჰესის წლიური გამომუშავების გეგმის ტოლია. ამ მაჩვენებელს სწორი ექსპლოატაციის შედეგად მიაღწიეს. მიუხედავად ამისა ძალოვანი კვანძის მშენებლობის სამმართველოს (უფროსი — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი უ. გოჯიაშვილი) მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, რათა დროულად გადასცენ საექსპლოატაციოდ რიგით მეოთხე და მეხუთე ჰიდროაგრეგატები.

ხარკოვის ტურბინების ქარხანამ ჩაშალა მეოთხე ჰიდროტურბინის დამზადების ვადა. პრაქტიკულად ამ დღეებში დაიწყო ტურბინის დეტალების გამოგზავნა, რაც, ცხადია, აგრეგატის დაგვიანებას გამოიწვევს. ამ ფაქტზე ბევრ ადგილას ალარმობენ, ეს ფაქტი ... ...

...

...

##

ისტორიკოსთა სამეცნიერო მოღვაწეობის კოორდინაციისათვის

ბორჯომი. ბორჯომის საკურორტო დარბაზში ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მეცნიერ-ისტორიკოსთა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

რესპუბლიკის ისტორიკოსებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მათი სამეცნიერო მოღვაწეობის გაღრმავებასა და კოორდინაციასთან.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ეფუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ქარუმიძე, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. მარშანია.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. ხარაძემ. მან აღნიშნა:

— ჩვენმა შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა უფრო უკეთ შეასრულონ თავიანთი ძირითადი ფუნქცია—ქმედითი ზეგავლენა მოახდინონ რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე გამჯანსაღებელ პროცესებზე, უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთი საბრძოლო არსენალი მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მთელი იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დადასრულ იყო და არის საბჭოთა ადამიანებისათვის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების, პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ჩანერგვა.

საქართველოს მეცნიერ-ისტორიკოსთა შეხვედრა ხელს შეუწყობს რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეცნიერებათა როლის შემდგომ გაძლიერებას, მის სრულყოფას, იმ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

შეხვედრის პირველ დღეს ისტორიის მეცნიერებათა განვითარების აქტუალურ საკითხებზე მოხსენებები გააკეთეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა დ. ჩხიკვიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ძიძარიამ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორის გამგემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. სურგულაძემ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ, პროფესორმა თ. მიქელაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ო. გიგინეიშვილმა, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა პ. ვაჭრაძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ბ. ტეხოვმა, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნ. ქორთოკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ნ. ასათიანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბაოუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. ხახუტაიშვილმა.

მეორე დღეს სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ფ. სტურუამ, აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზ. ანჩაბაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ჭავჭავაძემ, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ი. გაგლოევმ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. ბაჭარაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ლორთქიფანიძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სსრ კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილების გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. პაიჭაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ფრახგიშვილმა.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ეფუქიძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ქარუმიძე.

საქართველოს მეცნიერ ისტორიკოსთა ფორუმის მონაწილეებმა დაათვალიერეს ბორჯომის რაიონის ღირსშესანიშნაობანი.

(საქინფორმი).

ვ. ა. ასათიანი

საქართველ ო ს მრეწველობამ დაკარგა შესანიშნავი მშრომელი. 49 წლისა, შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის გაფურჩქვნის ხანაში მოულოდნელად გარდაიცვალა რესპუბლიკის მუშათა კლასის წარჩინებული წარმომადგენელი, სოციალისტური შრომის გმირი, 1951 წლიდან სკკპ წევრი, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზენაკალი ვლადიმერ ალექსის ძე ასათიანი.

წავიდა ჩვენგან გულითადი და გულისხმიერი ამხანაგი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი მშრომელი, რომელმაც ღირსეული წვლილი შეიტანა რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებაში, საქართველოს ავიამშენებელთა სახელოვანი კოლექტივის დიდ წარმატებებში.

ვ. ა. ასათიანი დაიბადა 1930 წლის 1 იანვარს გუდაუთის რაიონის სოფელ მუგუძირხვაში.

1946 წელს დაამთავრა პოლიგრაფიული სკოლა და 1950 წლის დამლევამდე ტაამბაში მუშაობდა მკინძავად, იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, დემობილიზაციის შემდეგ ვ. ა. ასათიანი ამწყობ ზეინკლად იწყებს მუშაობას თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, სადაც უკანასკნელ დღემდე მუშაობდა. აქ მიიღო მან შრომითი წრთობა, აქ აღიზარდა მაღალკვალიფიციური, სპეციალისტად, თავისი საქმის ნამდვილ ოსტატად.

ვ. ა. ასათიანი დაუცხრომლად ზრუნავდა მუშათა კლასის ღირსეული ცვლის მომზადებისათვის, მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ენერგიას დაუშურებლად ახმარდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას, პარტიისა და ხალხის საქმის სამსახურს.

როგორც კომუნისტი, იგი ყოველთვის [illegible] ერთერთი ინიციატორი მოძრაობისა, „ხუთწლეული 3,5 წელიწადში“.

მრავალი წლის განმავლობაში თითქმის ყოველწლიურად ენიჭებოდა ხოლმე წოდებანი „პროფესიაში საუკეთესო“, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებული

ვ. ა. ასათიანს ერთ-ერთ პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება. იგი იყო საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი.

ვ. ა. ასათიანი დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა — იყო სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, არაერთხელ აურჩევიათ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრად, იყო სსრ კავშირის პროფკავშირთა XVI ყრილობის დელეგატი.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ვ. ა. ასათიანის შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობა. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის, მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენებით, აგრეთვე მედლებით. 1971 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

შესანიშნავი ადამიანის, ნამდვილი კომუნისტის, პარტიისა და ხალხის ერთგული შვილის ვ. ა. ასათიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ე. ა. შევევარდნაძე, პ. ბ. ბილაშვილი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, თ. მ. ბარიგინი, ბ. ზ. ბარსუკოვი, ბ. დ. ბებუნია, რ. ა. ბოგლიძე, ნ. ვ. ბურგენიძე, ნ. შ. ენდელაძე, ვ. ი. ვადაჭკორია, ა. შ. თოდრია, ვ. ი. ლომაძე, ა. ა. ლომიძე, ვ. ა. ლუკიანოვი, ბ. დ. მახარაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲨᲘ

თანამედროვეობის ყველაზე საარსებო პრობლემები

წამყვანი საინფორმაციო სააგენტოები, პრესა, ტელევიზია, რადიო ხაზს უსვამენ, რომ ვენაში განიხილეს თანამედროვეობის ყველაზე საარსებო პრობლემები: ბირთვული კონფლიქტის საფრთხის შენელება, ორი ქვეყნის თანამშრომლობის სფეროების გაფართოება. ფართოდ მოჰყავთ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მოლაპარაკებაზე ნათქვამი სიტყვები იმის შესახებ, რომ პირადი შეხვედრები ერთმანეთის უკეთ გაცნობის, მოუწესრიგებელი პრობლემების გადაწყვეტის გზების გამონახვის, ურთიერთგაგების შესაძლებლობას იძლევიან.

ახლანდელი უმაღლესი დონის შეხვედრა დარჩება უაღრესად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენად, დიდმნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად ორი ქვეყნის ურთიერთობის გზაზე, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა ეი-ბი-სის ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში. ლ. ი. ბრეჟნევისა და ჯ. კარტერის ვენის მოლაპარაკების უმნიშვნელოვანესი მიზანია ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილება. მოლაპარაკების ატმოსფერომ ხელი შეუწყო აზრთა მეგობრულ და გულახდილ გაზიარებას ორ ქვეყანას შორის. ჩვენი ქვეყნებისათვის უპირველესი მნიშვნელობის საკითხები განხილული იყო საქმიან და გულახდილ ვითარებაში. მე ვიზიარებ საბჭოთა ხელმძღვანელების თვალსაზრისს, რომ ახლანდელი შეთანხმება გულდასმით სრის შეწონასწორებული და ყოველგვარმა შესწორებამ შეიძლება დაარღვიოს იგი, თქვა მან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ახალი ხელშეკრულების ხელმოწერას, ნათქვამია ბონში გავრცელებულ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰ. დ. გენშერის განცხადებაში.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის მოლაპარაკებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უდიდესი პოლიტიკური ავტორიტეტი, იგი მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. პლანეტის ყველა ხალხის სტაბილური მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფისათვის მისი დაუცხრომელი, მტკიცე საქმიანობის ახალი მკაფიო მაგალითი გახდა, წერს ბულგარული „რაბოტნიჩესკო დელო“.

ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ბ. კრაისკიმ ვენის გაზეთ „კურიერში“ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ძალაში შესვლის შემდეგ „საერთაშორისო ცხოვრების მასტაბილიზებელი ფაქტორი გახდება“.

რომში გამოვიდა პაპი **იოსებ პავლე მეორე**, რომელმაც განაცხადა, რომ მხარს უჭერს „გამალებულ შეიარაღებაზე უარის თქმის დიადი საქმის წარმატებას და სამართლიანი, სტაბილური და ეფექტიანი შეთანხმების მიღწევას, რომლებიც ხალხთა შორის თანხმობისა და უფრო სამართლიანი ურთიერთობის დამყარების პირობაა“. (საკდესი).

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია

პეკინი, 18 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია.

როგორც სინხუას საინფორმაციო ოფისი აცნობებს, სესიაზე მოხსენება გააკეთა ხახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ხუა გოფენმა. მოსმენენ აგრეთვე მოხსენებებს 1979 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების შესახებ.

სესია განიხილავს მთელ რიგ კანონპროექტებს, მათ შორის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დებულებას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს, კანონს ჩინეთისა და უცხოეთის ერთობლივ კაპიტალდაბანდებათა საფუძველზე შექმნილი საწარმოების ექსპლატაციის შესახებ.

გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

კიტო. 18 ივნისი. (საკდესი). ეკვადორმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა სომოსას დიქტატორულ რეჟიმთან ნიკარაგუაში. ეს განაცხადა პრესკონფერენციაზე ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. აილა ლასომ.

ნიკარაგუასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ გამოაცხადეს კოსტა-რიკამ და მექსიკამ.

ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ, ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ



ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘᲗᲐ ᲕᲔᲜᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲙᲥᲠᲝᲑᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥ ᲕᲔᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲧᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐᲡ ᲐᲤᲐᲠᲛᲝᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Გ. ᲔᲤᲣᲥᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ Ა�გᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ Ვ. ᲥᲐᲠᲣᲛᲘᲫᲔ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ლ. მარშანია.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. ხარაძემ. მან აღნიშნა:

— ჩვენმა შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა უფრო უკეთ შეასრულონ თავიანთი ძირითადი ფუნქცია—ქმედითი ზეგავლენა მოახდინონ რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე გამჯანსაღებელ პროცესებზე, უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთი საბრძოლო არსენალი მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მთელი იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დადასრულ იყო და არის საბჭოთა ადამიანებისათვის მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულების, პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ჩანერგვა.

უთანხმოების ვითარებაში

ლუჭკემბურგი, 19 ივნისი. (საკდესი). აქ ერთდროულად გაიხსნა ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სამი სესია სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და ფინანსთა, მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრების დონეზე, ეს სესიები წინ უძღვის ევროპის გაერთიანებათა საბჭოს სესიას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „საერთო ბაზრის“ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები, და 21 ივნისს გაიხსნება სტრასბურგში.

წინა დღით ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ალმასრულებელმა ორგანომ — ევროპის გაერთიანებათა კომისიამ მოამზადა მოხსენება „საერთო ბაზრის“ განვითარების პერსპექტივების შესახებ. კომისია მოელის, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი 1983 წლისათვის შეადგენს მხოლოდ 3 პროცენტს, მაშინ როცა უმუშევრობის დონე საშუალოდ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში 7,5-8 პროცენტამდე გაიზრდება, ხოლო ზოგიერთ რაიონში ბოლოდროინდელი მოსახლეობის საერთო რიცხვის 15 პროცენტსაც კი მიაღწევს.

სოფლის მეურნეობის მინისტრების ახლანდელი შეხვედრა მიმდინარეობს უმწვავესი უთანხმოების ვითარებაში, რომელიც პრაქტიკულად წარუმატებლობას უქადის მის მონაწილეთა ცდებს, რაც შეიძლება მალე გადაწყვიტონ 1979-80 წლებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების საკითხი. ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების უმრავლესობას საჭიროდ მიაჩნია ავტომატურად გაიზარდოს შესასყიდი ფასები იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა საკომპენსაციო ანარიცხების სისტემა, რაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შიგნით სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობაში არსებობდა.

ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების შეხვედრაზე განიხილავენ ევროპის სავალუტო სისტემის ფუნქციონირების საკითხს, რომელიც, როგორც მიმოხილვები აღნიშნავენ, არსებობის პირველი თვეებიდანვე „ორივე ფეხით მოიკოჭლებს“. ამასთან დაკავშირებით პრესა აღნიშნავს, რომ დღემდე გაერთიანების პარტნიორთა უველა ცდა ცალ-ცალკე გადაეწყვიტათ წამოჭრილი სავალუტო-ფინანსური პრობლემები, წარუმატებლად მთავრდებოდა.

მდგომარეობა ნიკარაგუაში

სან-ხოსე, 18 ივნისი. (საკდესი). პრაქტიკულად კვლავ მთელი ნიკარაგუა აჯანყებულებისა და დიქტატორ სომოსას ეროვნული გვარდიის გაბაფთრებული ბრძოლების ასპარეზია. ტიერანის ჯარები ცდილობენ სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის სამხედრო უპირატესობის ნეიტრალიზებას ავიაციისა და მძიმე არტილერიის მასირებული გამოყენების საშუალებით.

მიუხედავად ამისა ძალთა თანაფარდობა დიქტატურის სასარგებლოდ როდია. ქვეყნის სამხრეთში აჯანყებულები ავიაციურებენ შტურმს. სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის კოლონა, რომელშიც შვიდასამდე მებრძოლია, ბრძოლებით მიიწევს რივასისაკენ — ამავე სახელწოდების დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრისაკენ, სადაც ამჟამად მტკიცედ მოიკიდოს ფეხი ახლახან შექმნილმა დროებითმა დემოკრატიულმა მთავრობამ.

ᲔᲗᲘᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲐ, ეთიოპიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით, ქვეყნის მოსახლეობა 1977 წელს შეადგენდა 28,673,100-ს. 1976 წელთან შედარებით ეთიოპიის მოსახლეობა 700 ათასით გაიზარდა, ქვეყნის 250 ქალაქსა და დაბაში ცხოვრობდა 3,5 მილიონზე მეტი კაცი.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ, ᲐᲦᲛᲐᲨᲠᲝᲚᲘᲡ ᲒᲖᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ნ. ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

70 წელი შესრულდა გამოჩენილი საბჭოთა გეოდეზისტის, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორი ნიკოლოზ არტემის ძე თევზაძის დაბადებიდან. ჭეშმარიტად შემოქმედებითი ძიებებით არის აღსავსე მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი.

ნ. თევზაძე დაიბადა ქუთაისში და იქვე მიიღო საშუალო განათლება. მას თავიდანვე ჰქონდა მრავალმხრივი ცოდნის დაუფლების დაუოკებელი სურვილი და ამიტომაც იყო, რომ 1930 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა, რომელიც 1936 წელს დაასრულა. სტუდენტობის წლებშივე მიიქცია გეოდეზიის დიდი სპეციალისტის, ღრმად ერუდირებული მეცნიერის, პროფესორ ანდრია ბენაშვილის ყურადღება, რომლის ინიციატივითაც გეოდეზიის კათედრები შეიქმნა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. პროფესორ ა. ბენაშვილის გარდაცვალების (1941 წელი) შემდეგ ნ. თევზაძე სათავეში ჩაუდგა გეოდეზიისა და სამარკშაიდერო საქმის კათედრას, როგორც მხცოვანი მეცნიერის მიერვე არჩეული მემკვიდრე.

1948 წელს ნიკოლოზ თევზაძემ საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა მოსკოვში. 1961 წელს კი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა ნაშრომებისათვის, რომელიც გეოდეზიური და სამარკშაიდერო განაზომების მათემატიკური დამუშავების თეორიულ საფუძვლებს მიეძღვნა. ეს ნაშრომებია „განაზომთა შეცდომების თეორია“ და „განაზომთა ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა“.

ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერ-გეოდეზისტების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფესორ ნ. თევზაძის ხანგრძლივი შრომის „ყაოფმა „საინჟინრო გეოდეზიის“ ათტომეულის შექმნამ, რომელიც გეოდეზიის ციკლში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სპეციალურ დისციპლინას მოიცავს.

პროფესორ ნ. თევზაძის „საინჟინრო გეოდეზია“, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს თავისი მასშტაბურობითა და სისრულით, განხილული საკითხებისა და ამოცანების მეცნიერული დამაჯერებლობითა და გადმოცემის თანმიმდევრობით, ქართული ენისა და ტერმინოლოგიის დახვეწილობითა და განსაკუთრებული პედაგოგიური ალღოთი. პროფესორ ნ. თევზაძის ეს ნაშრომი ვრცლად ასახავს არა მარტო საინჟინრო გეოდეზიის, არამედ, საერთოდ, უმაღლესი გეოდეზიისა და მისი ქვედარგების, აგრეთვე ასტრონომიის, ფიზიკისა და გეოფიზიკის ზოგიერთ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია გეოდეზიასთან.

ნ. თევზაძის ფუნდამენტურ ნაშრომს — „საინჟინრო გეოდეზიას“ მაღალი შეფასება მისცეს ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერებმა. აი, რას წერენ უკრაინის სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები დ. ოგლობლინი და ნ. ვიდუევი: „ეფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ნ. თევზაძის ნაშრომებამდე არც საბჭოთა კავშირში და არც საზღვარგარეთ არ გამოქვეყნებულა ასეთი განმაზოგადებელი ნაშრომი. მისი ერთ-ერთი ნაწილის „განაზომთა ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის“ მთელი მასალა ალბათობის თეორიის საფუძველზეა გადმოცემული, რაც არ მომხდარა მანამდე გამოცემულ ნაშრომებში. ეს თევზაძის ნაშრომებს ორიგინალურ და მაღალმეცნიერულ ხასიათს ანიჭებს. სასურველია ნ. თევზაძის „საინჟინრო მეთოდების“ რუსულ ენაზე გამოცემა, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს სპეციალისტთა ფართო წრისათვის.

პრინციპულობა, მაღალ მოქალაქეობრივობა, საქმისათვის თავადადება, კეთილშობილება, თავმდაბლობა — აი თვისებები, რომლებიც პროფესორ ნ. თევზაძის პიროვნებას ამშვენებს. მეცნიერისა და აღმზრდელის ეს თვისებები კეთილ კვალს აჩნევს მის გვერდით მომუშავე უმცროსი კოლეგებისა და სტუდენტების პიროვნულ ხასიათსაც. რომელთა შორის დამსახურებულად მოიპოვა პოპულარობა.

მისი თაოსნობითა და რედაქტორობით კათედრის თანამშრომლების მიერ ქართულ ენაზე მომზადებული და გამოცემულია სახელმძღვანელოები გეოდეზიაში, მარკშაიდერის ციკლის დისციპლინებში. დიდია ნ. თევზაძის ღვაწლი საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში. მან კათედრის თანამშრომლებთან ერთად შეასრულა რთული გეოდეზიური სამუშაოები, რომლებიც საფუძვლად დაედო თბილისის მეტროპოლიტენის, სპორტის სასახლის, ენგურჰესის უნიკალური კაშხლის, სამთო საწარმოებისა და ბევრ სხვა მნიშვნელოვან საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობას.

ნ. თევზაძე — 1940 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი — პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიდ კოლექტივში აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწედ არის აღიარებული. ჯერ კიდევ 1937 წლიდან საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთავარ ინჟინრად, ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის განვითარების გეგმების შედგენას და მონაწილეობდა ახალი კორპუსების მშენებლობაში. მრავალი წლის განმავლობაში იგი არის სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს გეოდეზიის სამეცნიერო-მეთოდიკური კომისიისა და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრი, ამავე სამინისტროს სამთო მრეწველობის სექციის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს წევრი, საკავშირო ასტრონომიულ-გეოდეზიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ქერქის კომპლექსური გამოკვლევის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გეოდეზიის სექციის თავმჯდომარე და სხვა.

დღესაც დაუცხრომელი ენერგიითა და შემართებით მუშაობს პროფესორი ნ. თევზაძე, რაც შემდგომ წარმატებათა საწინდარია.

ა. ᲫᲘᲫᲘᲒᲣᲠᲘ,
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

ბ. ᲑᲐᲚᲐᲕᲐᲫᲔ,
**გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა ა

რედაქტორის სვეტი

... თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს

„სვეტს“ ფოსტა გაუჩნდა. რაც სარწმუნოსა ხდის ვარაუდს, რომ სვეტის იდეა და იდეის ხორცშესხმის მკითხველისთვის შეთავაზებული არსი და ფორმა განნირული არ ყოფილა. თანაც ფოსტა ერთგვაროვანი და ერთსახოვანი, უტყვი და სტატიკური როდია, არამედ ცხოველი, მოქალაქეობრივი ძღერადობისა, თუ გნებავთ, შემტევიც. და რაც ყველაზე სასიკეთოდ ნიშნეულია, მკითხველი ნინადადებებს აყენებს, გვთავაზობს კონკრეტულ სასვეტო თემატიკას, რომლის აღსრულება, უთუოდ, პატივსადები მოვალეობაა.

ასე რომ, კორეს-პონდენტთა დიდი უმეტესობა გაზეთის უყოყმანო თანადგომის ხასიათზეა. მაგრამ გამონაკლისიც არის. ერთ ჩვენს მკითხველს მიუჩნევია, რომ „კომუნისტის“ ვს სიახლე საბჭოთა პრესის თეორიასა და პრაქტიკას ვერ ეგუება და „პრავდისთვის“ უთხოვია, სვეტის ავტორს ყური აუნიეთო. ყურის ასაწევ ასაკს კაცი ინატრებდა კიდეც იმის მიუხედავად, რომ ჩვენს გაზეთს ამგვარი სიახლე არ მიეწერება, რადგან საბჭოთა პრესის პრაქტიკისათვის მცირე ფორმის პუბლიცისტიკის კუთხე შეუთავსებელი კი არა, აღიარებულია. ცენტრალური პერიოდიკიდან გაზეთი „სოვეტსკაია როსია“ („რედაქტორის აზრი“ — პირველი გვერდი, მეთაურის ადგილას), ყოველკვირეული „ნედელია“, რუსეთის ზოგი საოლქო გაზეთი ამყამადაც შედეგიანად იშველიებენ ამ კუთხეს. რაც შეეხება თეორიას, არ ღირს შეჭრა, როცა მას ცრუმოწმის როლს განუკუთვნებენ ხოლმე.

სულ სხვაა როცა კრიტიკიდან საერთო საქმის ინტერესები გამოსჭვინთ, როცა მისი მოტივი ვისიმე გალახვა კი არ არის, არამედ სრულყოფისაკენ სწრაფვის კეთილი გონი და კეთილი განნყობა.

სწორედ ასეთი წერილი მივიღე რუსთავიდან ამხანაგ ბორის ერისთავისაგან. ჩანს, ავტორი დარბაისელი და ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ადამიანია, ამასთანავე კარგი მოქალთულე და კალმის ლაღად მომქნევი. მისაყვედურებს, „რადგან სტატიები აშკარად გამოკვეთილი პოზიციის მატარებელია და განზოგადების მაღალი მისია აკისრია. ჩემი აზრით, მეტად ფრთხილად უნდა მოეკიდოთ ზოგიერთ დასკვნას“; კრიტიკის სამზნედ რატომ სტუმართმოყვარეობის ტრადიცია ხდება და არა ამ ტრადიციის გამაუკუღმართებლები? ეროვნულ მანკიერებად ხომ არ ვაცხადებთ იმას, რაც ზოგიერთი პიროვნების ბრალია? მას მოეკითხოს, ვინც სტუმარს დახვდა და ურიგოდ უმასპინძლაო.

მწვავე, დამაფიქრებელი კითხვებია დასმული, მაგრამ თვით ეს კითხვები პასუხსაც შეიცავს.

დიახ, ერს ვინ მიაწერს ბერის ცოდვებს, ჩვენში, ჩვენს ეროვნულ ოჯახში!

მაგრამ თუ ხშირად უცხო ადამიანი ქვეყნის ნინაშე პირისპირ მდგარი ერთხელ ცხოვრებაში და ისიც ტურისტად, გაელით, შემხვედრი ბერით იმსჯელებს ერზე, რა ვქნათ, ვიყუროთ? დასკვნებს ვერიდოთ?

არა და არა! სარკეში ჩახედვა გვჭირია ხანდახან. ერსაც და ბერსაც. მთელ საზოგადოებასაც და მის თითოეულ ნევრსაც. ალბათ ზოგჯერ შეეკრთებით, იქნებ გულიც დაგვენუროს. რას ვიზამთ, არ არსებობს სხვა გზა ნაკლთან შებმისა მისი გამომზეურების, სამსჯავროდ გამოტანის გარდა.

დიდი შოთაა თავდები: „მას მკურნალმან რაგვარ პკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს“.

და ეს ჩვენვე უნდა ვაკეთოთ. სხვისაგან უფრო მტკივნეულია. ამის კიდევ ერთი დასტური — პეტრა მიხაელის! პუბლიკაციაა დასავლეთგერმანულ გაზეთი „საარბრუკერ ცაიტუნგში“.

გამოცდა სხეულისა შენისა საქართველოში მოგზაურობის ჟამს

დიდი ტრაპეზი

გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა ადოლფ ენდლერის პატარა წიგნი „საქართველოს ამბის აღწერის ორი ცდა“. და რამდენადაც მან თავის ნაამბობსა და დაკვირვებებში მედიას სამშობლოს და მისი მრავალი პოეტის შესახებ ამ ქვეყნის ზოგიერთი სუფრის ტრადიციაც აღწერა, მე უწინარეს ყოვლისა წიხლახედულად დავიხსომე არა მარტო მთელი მსოფლიოში ესოდენ საჭირო მადლიერების სიტყვა „გმადლობთ“, არამედ აგრეთვე ადგილობრივი სამკურნალო წყლის სახელიც „ბორჯომი“. და ეს სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა: ქართული სუფრის ადათები უკვე მოსკოვში დაგვატყდა თავს.

აეროდრომზე დაგვხვდნენ თარჯიმანი კლარა და საქართველოს წარმომადგენელი შოთა, მაღალი, ტანადი, შავგვრემანი, შუახნის კაცი, რომელსაც ჰქონდა სწორი ქართული ცხვირი და საერთოდ ყველა ის ნიშანი, რომლებსაც ხოტბას ასხამს თვით ბროკჰაუზი. ცოტა დაღლილნი, შეცბუებულნი, აღელვებულნი, და ამავე დროს ცნობისმოყვარეობით და შიშშილით შეპყრობილნი მივედით უზარმაზარ „როსიაში“, და ყოველმხრივ სასიამოვნოდ გვიჩვენება, რომ შოთა ამაოდ არ კარგავს დროს და დაუყოვნებლივ გვეპატიჟება ვახშმად 21-ე სართულის რესტორანში.

ქვემოთ, მაღალი ფანჯრებიდან მოსკოვი ათასგვარი ტრიუკის შედეგად ზღაპრულ ქალაქად მოჩანს. თვალისმომჭრელად ელავს ყინულები მდინარე მოსკოვში. წითელი ვარსკვლავებიც კი — რევოლუციის სიმბოლოები, რომ სუფრაზე, რომელიც დაღვრილ არაყს შეულახავს. უკვე ლაპარაკიც კი ზედმეტია ღამის მოსკოვში გასეირნებაზე. დავიწყეთ ამ ჩვენთვის ახალი ზნე-ჩვეულებების ათვისება და მე პირველ საღამოსვე ვისწავლე არყის სირჩაში შეუმჩნეველად ბორჯომის დასხმა. მაგრამ იმისათვის, რომ 4-5 საათზე გაანაწილო საქმელი და მადა, ცოტა უფრო საფუძვლიანი გამოცდილებაა საჭირო. მეორე გაკვეთილი ბედმა გვარგუნა მომდევნო დღეს, თბილისში ჩასვლის შემდეგ, კიდევ ერთი დღის შემდეგ კი მესამე გაკვეთილიც მივიღეთ. ზოგჯერ იძულებული ვართ ზედიზედ ორ დიდ ლხინს ვეწვიოთ. ჩვენ უკვე ვარჩევთ სხვადასხვა ვარიანტს: რამდენადმე უხეშსა და ვაქკაცურს — განსვენებული პოეტის გიორგი ლეონიძის სახლის ბაღში, და დახვეწილს, ფანტაზიით აღსავსეს — ახლად შეძენილი მეგობრების ოჯახებში, სადაც დაუშრომელი ქალების მთელი შტატი თითქმის არ გამოდის სამზარეულოდან, აგრეთვე ოფიციალურს, იმპროვიზირებულს და ა. შ. სადაც უნდა ეწყობოდეს — კავკასიის მთების ქალაქგარეთა სახლშიც, ხელოვნების მოღვაწის გაკრიალებულ ბინაშიც, ყველა ამ ლხინს აქვს ერთი საერთო ნიშანი: რამდენი კერძიც უნდა იყოს, ყველაფერი სუფრაზე რჩება, ჯერ გვერდ-გვერდით, შემდეგ—ერთმანეთზე დახვავებული, და გარშემო რამდენიმე ათეული ბოთლია შემოწყობილი — ზღაპრული ქვეყნის სურათია.

თანდათან ჩაეწვდით ამ ლხინის რიტუალს, სიმაძღრის უკან მივაგენით ნეტარებას, ნეტარების უკან სულისა და გონების გასაოცარ დოზას, რადგან თავისი სამზარეულოს და სუფრის წეს-ჩვეულებებიც მეშვეობით ეს ქვეყანა გვიჩვენებს თავისი ცხოვრების ყაიდას, ავლენს თავის ფიქრებსა და გრძნობებს. ახალგაზრდა გერმანისტი ლამარა გვიხსნის: „სუფრაზე მხოლოდ ახლობლებსა და მათ მეგობრებს იწვევენ — რაიმე უსიამოვნება რომ არ მოხდეს. ყოველი სუფრის წევრი უნდა წაახალისონ ხოტბითა და ღრმა აზრით აღსავსე სადღეგრძელოებით, არავის არ უნდა აწყენინონ. სულ სიკეთეს უსურვებენ ოჯახსა და მის ახლობლებს, იხსენებენ ამ ქვეყნიდან წასულთაც. და სულ (თუ ეს შესაძლებელია) უნდა იმღერო და იცეკვო. ჩვენდა საბედნიეროდ, ცეკვა ყოველთვის ვერ ხერხდება სივიწროვის გამო. მაშინ მით უფრო პატივშია სიმღერა. ლამაზ და ძველ სიმღერებს მღერიან ქართველები. თითქოს აუცილებლად მიაჩნიათ ყოველი ლხინის ჟამს კვლავ და კვლავ პატივისცემით გაიხსენონ რაინდული ხანა, ამ ბარაქიანი ქვეყნის დაუცხრომელი ბრძოლა ხარბი მეზობლების წინააღმდეგ. ვიღაც წამოიწყებს, ვიღაც აპყვება მელოდიას — ამის მოსმენას არაფერი სჯობს.

მოგზაურობა განუწყვეტელ ქეიფად იქცევა, რომლის დროსაც ექსკურსიებს ძალიან მცირე ადგილი ეთმობა, იმის ნაცვლად, რომ პირიქით იყოს. და მოგონებებში, საგზაო შთაბეჭდილებებთან ერთად, თვალწინ წარმოგიდგება ნატიურმორტები: ცხელცხელი ხაჭაპური, ხიზილალა, ორაგული, ფრინველი, ჩურჩხელები, ბროწეული, გუდის ყველი, ოლტატურად დამზადებული ნამცხვრები. ჩვენ ფრთხილად ვცდილობთ გავიარკვეთ, როგორ უძლებს ამ გაუთავებელ ღრეობას ნორმალური კუჭი და საშუალო ზომის ქრონა. ლამარას ეღიმება: „საქართველოში ხომ ამბობენ, ფული რაც შეიძლება მალე უნდა მოიშოროო თავიდან, ხელის ბუჟყიაო!“, ვინც ჰონორალს აიღებს, სასწრაფოდ ქეიფობს, თორემ ძენწად მოხთლავენ. ასევე ახალი წელი, დღეობა, ბავშვის დაბადების დღე ლხინისა და ქეიფის საბაბია.

ეტყობა, ჭეშმარიტებას არ შეეცოდავ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ამ სტუმართმოყვარე ქვეყანაში რამდენიმე წლის პროგრამა შევასრულეთ — ერთი მხრივ, სასიამოვნო, მეორე მხრივ კი, გაბეღული. რადგან ყველანი, მათ შორის მოსკოველი კლარაც, ვგრძნობთ, რომ დავიკანცეთ, ზედიზედ ვყლაპავთ ამებს ხან რისა, და ხან რის წინაღმდეგ, რაც კუჭნაწლავის გადატვირთვით არის გამოწვეული.

რამდენადმე დაღლილნი, მაგრამ მაინც მხიარული და ხალისიანი ავდიეართ თვითმფრინავში, და ესუფევეთ იმ საყაროში, რომელსაც ლამარა კარგ გუნებას უწოდებს, მივიწყებული ეგოძვს ყოველგვარი პრობლემები და თავი სამოთხეში გვგონია. სამოთხეში, სადაც ყველაზე აუცილებელია ორი სიტყვა: „გმადლობთ“, — ამ ფრეველო მასშტაბის სტუმართმოყვარეობისთვის, და „ბორჯომი“, რომ გაუძლო ყოველივე ამას.

პეტრა მიხაელი,

„საარბრუკერ ცაიტუნგი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

1979 წ. 29/III.

ყაბალი

საფეხურნირო ორბიტაზე

ტურნირი დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობა. საბჭოთა კალათბურთელებმა ბოლო ორ ტურში დაამარცხეს ისრაელისა (92:71) და იტალიის (90:84) გუნდები და ნახევარფინალურ შეჯიბრებში პირველობა მოიპოვეს. ფინალში მათი მეტოქე იქნება ისრაელის ნაკრები. მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდებიან იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები.

ტელი ვოლტრეკზე დამთავრდა სპრინტერთა საკავშირო შეჯიბრება. ამ პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ ტელი ს. კოპილოვი და თბილისელი გ. დვალიშვილი. ამჯერად მასპინძელმა იმარჯვა. გ. დვალიშვილი მეორე ადგილზე გავიდა. აშხაბადელი გ. რომანცევი მესამე ადგილს დასჯერდა.

უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო მატჩი თბილისის „ლოკომოტივმა“ ფრედ დაამთავრა მოსკოვის ე. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან — 6:6. ქუთაისის „სახლშენმა“ დაამარცხა კიევის „ავიატორი“ — 39:10, მოსკოვის „ლოკომოტივმა“ — თბილისის „ელვა“ — 23:9, მოსკოვის „სლავამ“ — კიევის „პოლიტეხნიკი“ — 22:7, კრასნოიარსკის „პოლიტეხნიკმა“ — მოსკოვის „ფილი“ — 14:9. მეორე წრეში მედლებისათვის ბრძოლას განაგრძობენ თბილისის „ლოკომოტივი“ (13 ქულა), „სლავა“ (13), „ფილი (11), სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი (10), „ავიატორი“ (8) და მოსკოვის „ლოკომოტივი“ (5). ფრჩხილებში ნაჩვენებია ქულები, რომლებიც პირველ ექვს ადგილზე გასულმა გუნდებმა ერთმანეთთან მატჩებში დააგროვეს. მეორე წრეში გუნდების სწორედ ეს აქტივი იქნება გათვალისწინებული. მედლებისათვის ბრძოლა 1 ივლისს განახლდება და 2 ოქტომბრამდე გასტანს.

რედაქტორი

გ. გედინეიშვილი.

სად ფავიდეთ სასწავლებლად?



საქართველოს ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1979-80 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. სწავლება წარმოებას მოწყვეტით

სამშენებლო ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, V სართული, 518-ე ოთახი).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები); 2. სამშენებლო ნაგებობათა და კონსტრუქციათა წარმოება (ქართული სექტორი); 3. მშენებლობა (ინჟინერ-პედაგოგები. ქართული სექტორი).

ენერგეტიკის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, I სართული, 140-ე ოთახი).

1. ელექტროსადგურები (ქართული სექტორი); 2. ელექტროსისტემები (ქართული და რუსული სექტორები); 3. სამრეწველო საწარმოების, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება (ქართული და რუსული სექტორები); 4. თბოელექტროსადგურები (ქართული სექტორი); 5. სამრეწველო თბოენერგეტიკა (ქართული სექტორი); 6. ელექტრომძრავი და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაცია (ქართული სექტორი).

სამთო ფაკულტეტი (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, I სართული, 124-ე ოთახი).

1. სამარკშეიდერო საქმე; 2. სასარგებლო წიაღისეულის სადაფთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია; 3. სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება; 4. მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა; 5. სამთო მანქანები და კომპლექსები; 6. სამთო სამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია; 7. გამოყენებითი გეოდეზია (ქართული სექტორი).

ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 69, II კორპუსი, II სართული, 202-ე ოთახი).

1. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 2. ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 3. მჟიადა მასალების ქიმიური ტექნოლოგია (რუსული სექტორი); 4. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 5. კერამიკისა და ცეცხლმედეგი მასალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი); 6. მინისა და სიტალების ქიმიური ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, V სართული, 524-ე ოთახი).

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები; 2. თვითმფრინავმშენებლობა; 3. სამაცივრო და საკომპრესორო მანქანები და მოწყობილობანი (ქართული და რუსული სექტორები); 4. მანქანათმშენებლობა (ინჟინერ-პედაგოგები, ქართული სექტორი). 5. საშენ მასალათა, ნაკეთობათა და კონსტრუქციათა საწარმოების მექანიკური მოწყობილობა (ქართული და რუსული სექტორები);

მეტალურგიის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 69, II კორპუსი, II სართული, 229-ე ოთახი).

1. შავი ლითონების მეტალურგია (ქართული სექტორი); 2. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (ქართული და რუსული სექტორები); 3. ლითონმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ელექტროწოგა (ქართული სექტორი); 4. ლითონების წნევით დამუშავება (ქართული სექტორი).

ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 77, VI კორპუსი, III სართული, 303-ე ოთახი).

1. საინფორმაციოგამზომი ტექნიკა; 2. ავტომატიკა და ტელემექანიკა; 3. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები; 4. მართვის ავტომატიზებული სისტემები (ქართული და რუსული სექტორები).

ტრანსპორტის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, V სართული, 543-ე ოთახი).

1. ვაგონმშენებლობა და საავაგონო მეურნეობა (ქართული სექტორი); 2. რკინიგზის მშენებლობა, გზა და საგზაო მეურნეობა (ქართული სექტორი); 3. საავტომობილო გზები (ქართული სექტორი); 4. ხიდები და გვირაბები (ქართული და რუსული სექტორები); 5. რკინიგზის ტრანსპორტის ელექტრიფიკაცია (ქართული და რუსული სექტორები); 6. ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე (ქართული და რუსული სექტორები); 7. რკინიგზის ექსპლოატაცია (ქართული სექტორი).

საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, VI სართული, 637-ე ოთახი).

1. ლითონთა ფიზიკა (ქართული სექტორი), 2. ნახევარგამტარები და დიელექტრიკები (ქართული სექტორი);

არქიტექტურის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, IV სართული, 402-ე ოთახი).

1. არქიტექტურა (ქართული და რუსული სექტორები).

ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, II სართული, 204-ე ოთახი).

1. სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები); 2. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია (ქართული სექტორი); 3. წყალმომარაგება და კანალიზაცია (ქართული და რუსული სექტორები).

გეოლოგიის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, I სართული, 128-ე ოთახი).

1. ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია; 2. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა დაზვერვის ტექნოლოგია და ტექნიკა; 3. სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა გეოლოგიური აგებგმა, ძებნა და ძიება; 4. ნავთობისა და გაზის საბადოთა გეოლოგია და ძიება; 5. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა; 6. ნავთობისა და გაზის საბადოთა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია (ქართული სექტორები).

კავშირგაბმულობის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, III სართული, 343-ე ოთახი).

1. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა (ქართული და რუსული სექტორები); 2. მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობა (ქართული და რუსული სექტორები); 3. რადიოკავშირგაბმულობა და რადიომაუწყებლობა (ქართული სექტორი); 4. რადიოტექნიკა (ქართული და რუსული სექტორები).

ავტომექანიკის ფაკულტეტი ლენინის ქ. 64, I კორპუსი, V სართული, 533-ე ოთახი).

1. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (ქართული სექტორი); 2. საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაცია (ქართული სექტორი).

ელექტრომექანიკის და ელექტრონიკის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 75, III კორპუსი, II სართული, 260-ე ოთახი).

1. ელექტრული მანქანები (ქართული და რუსული სექტორები); 2. ელექტროსიზოლაციათა და საკაბელო ტექნიკა (ქართული სექტორი); 3. სამრეწველო ელექტრონიკა (ქართული და რუსული სექტორები); 4. ელექტრული აპარატები (ქართული სექტორი).

2. სწავლება წარმოებას მოუწყვეტლივ

(დაუსწრებელი სწავლება ყველა სპეციალობაზე იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე).

თბილისის საღამოს სწავლების ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მშენებლობის ფაკულტეტი დაუსწრებელი სწავლების განყოფილებით.

(ლენინის ქ. 64, I კორპუსი, IV სართული, 431-ე ოთახი)

ა) საღამოს სწავლება

1. საავტომობილო გზები (ქართული სექტორი); 2. ხიდები და გვირაბები (ქართული და რუსული სექტორები); 3. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა (ქართული სექტორი).

ბ) დაუსწრებელი სწავლება

1. რკინიგზების მშენებლობა გზები და საგზაო მეურნეობა.

თბილისის საღამოს სწავლების ქიმიური ტექნოლოგიისა და ავტომატიკის ფაკულტეტი დაუსწრებელი სწავლების განყოფილებით

(ლენინის ქ. 69, II კორპუსი, II სართული, 218-ე ოთახი).

ა) საღამოს სწავლება

1.არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; 2. ძირითადი ორგანული და ნავთობქიმიური სინთეზის ტექნოლოგია; 3. ელექტროქიმიური წარმოების ტექნოლოგია; 4. ავტომატიკა და ტელემექანიკა (ქართული სექტორები). 5. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები (ქართული და რუსული სექტორები). 6. სამრეწველო ელექტრონიკა (ქართული სექტორი).

თბილისის დაუსწრებელი სწავლების სამშენებლო ფაკულტეტი საღამოს სწავლების განყოფილებით

(ლენინის ქ. 64, I კორპუსი, VI სართული, 602-ე ოთახი).

ა) საღამოს სწავლება

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია; 3. წყალმომარაგება და კანალიზაცია (ქართული სექტორები).

ბ) დაუსწრებელი სწავლება

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. სამდინარო ნაგებობათა ჰიდროტექნიკური მშენებლობა და ჰიდროელექტროსადგურები.

თბილისის დაუსწრებელი სწავლების მანქანათმშენებლობისა და ენერგეტიკის ფაკულტეტი საღამოს სწავლების განყოფილებით

(ლენინის ქ. 64, I კორპუსი, IV სართული, 439-ე ოთახი).

ა) საღამოს სწავლება

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები; 2. სამრეწველო საწარმოების, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება (ქართული სექტორები).

ბ) დაუსწრებელი სწავლება

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები.

ქარხნებთან არსებული ფაკულტეტი

1. თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანასთან

(თბილისი, ავჭალის გზატკეცილი, 74).

საღამოს სწავლება

1. ელექტრული მანქანები. 2. სამრეწველო საწარმოების, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება. (ქართული სექტორები).

2. თბილისის საავიაციო ქარხანასთან

(თბილისი, ბ. ხმელნიცკის 171)

ა) საღამოს სწავლება

1. თვითმფრინავმშენებლობა; 2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები, 3. ელექტრული მანქანები (ქართული სექტორები).

ბ) დაუსწრებელი სწავლება

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები;

რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტი

(რუსთავი, რუსთაველის 16)

1. შავი ლითონების მეტალურგია; 2. ლითონების წნევით დამუშავება; 3. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; 4. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 5. მართვის ავტომატიზებული სისტემები (ქართული სექტორები); 6. ლითონმცოდნეობა, ლითონთა თერმული დამუშავების მოწყობილობა და ტექნოლოგია (რუსული სექტორი).

რუსთავის საღამოს სწავლების ფაკულტეტის თელავის საღამოს სწავლების განყოფილება

(თელავი, წრიული 1)

1. საინფორმაციო გამზომი ტექნიკა (ქართული სექტორი).

გორის საღამოს სწავლების ფაკულტეტი

(გორი, საბჭოს 37)

1.სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; 3. ავტომატიკა და ტელემექანიკა (ქართული სექტორები).

ფოთის საღამოს სწავლების ფაკულტეტი

(ფოთი, მახარაძის 11)

წყალმომარაგება და კანალიზაცია (ქართული სექტორი).

ბათუმის საღამოს სწავლების ფაკულტეტი

(ბათუმი, გორკის 96)

1. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები; 2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 3. ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; 4. შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება. (ქართული სექტორები).

ჭიათურის საღამოს სწავლების ფაკულტეტი

(ჭიათურა, კომკავშირის 1)

1. მარგი წიაღისეულის საბადოთა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია; 2. სამთო სამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია; (ქართული სექტორები).

ჭიათურის საღამოს სწავლების ფაკულტეტთან არსებული ტყიბულის საღამოს სწავლების განყოფილება

(ტყიბული, გურამიშვილის 7).

1. მიწისქვეშა ნაგებობებისა და შახტების მშენებლობა (ქართული სექტორი).

სოხუმის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი

(სოხუმი, გოგებაშვილის 15).

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 2. სამდინარო ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში მიღების წესები იგივეა, რაც სსრ კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის. დღის განყოფილებაზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

არქიტექტორის ფაკულტეტი: შუბლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ხატვა, ხაზვა, მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი).

საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტი: შუბლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ხატვა, ხაზვა, მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი).

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტები: შუბლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (წერა).

ყველა დანარჩენი ფაკულტეტი — შუბლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (წერა).

საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ იმავე საგნებში, რომლებშიც დღის განყოფილების სანთანადო სპეციალობაზე შემსვლელნი.

ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, გამოცდას აბარებენ შესაბამისი სპეციალობისათვის დადგენილ მხოლოდ ერთ-ერთ საგაზნი: არქიტექტურის ფაკულტეტზე ხატვაში, საინჟინრო-ფიზიკურ ფაკულტეტზე—ფიზიკაში (ზეპირი), ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე — ქიმიაში (ზეპირი), ყველა დანარჩენ ფაკულტეტსა და სპეციალობაზე —მათემატიკაში (ზეპირი). თუ გამოცდას „ხუთზე“ ჩააბარებენ, ისინი თავისუფლდებიან მისაღებ გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან, ხოლო თუ „ოთხს“ ან „სამს“ მიიღებენ, აბარებენ გამოცდებს ყველა სხვა შესაბამის საგანში.

შენიშვნა: მიმდინარე წელს ისინი, ვისაც საშუალო სკოლის ატესტატში, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის დიპლომებში არა აქვთ ნიშანი „სამი“ და დოკუმენტის საშუალო ქულა დაუმრგვალებლად 4,5 და მეტი გამოდის, პირველი ორი გამოცდის შედეგად 9 ქულის მოგროვების შემოხვევაში შემდეგი გამოცდების ჩაუბარებლად ჩაირიცხებიან ინსტიტუტში. ეს ეხებათ აგრეთვე იმ მედალისტებსა და წარჩინების დიპლომის მქონეთ, რომელთაც პირველ გამოცდაზე მიიღეს შეფასება „ოთხი“, ხოლო მეორეზე „ხუთი“.

ჩარიცხვის ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ სპეციალობებზე (გარდა არქიტექტურის სპეციალობისა), სადაც ასეთი კატეგორიის შემსვლელთა რაოდენობა არ გადაჭარბებს საკონკურსო ადგილების რიცხვს.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს შემოაქვთ შემდეგი საბუთები: 1. განცხადება (დადგენილი ფორმის ბლანკი გაიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებში); 2. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი); 3. დახასიათება, გაცემული სამუშაო ადგილიდან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელობის, კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — სკოლის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ. იმ პირებს, რომელთაც არა აქვთ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება იმ სკოლებიდან და სასწავლებლებიდან, სადაც ისინი სწავლობდნენ; 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286). 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, კოლმეურნეობისათვის კალენდარულ წელზე დაწესებული შრომადღეების მინიმუმის აღნიშვნით. საშუალო სკოლის დამთავრების მომდევნო წლებში უმაღლეს სასწავლებლებში დღის განყოფილებაზე შემსვლელებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 6 თვის სტაჟი ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ, 6. ხუთი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 3X4 სმ. დაუმოწმებელი).

საღამოს სწავლების ფაკულტეტებზე შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ აგრეთვე ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (ამ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის საკალდებულოა, რომ ისინი ცხოვრობდნენ იმ ქალაქში, სადაც არსებობს საღამოს სწავლების ფაკულტეტი ან არაუმეტეს 25 კილომეტრით დაშორებულ ზონაში).

ინსტიტუტში გამოცხადებისას შემსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

**საბუთები მიიღება 1979 წლის